

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„04“ „08“ 2014 წელი

ეგზ. № 1

მარნეულის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

აშ 19/00

2014 წელი

სარჩევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში	4
აუდიტის ობიექტი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის შესახებ.....	5
აუდიტის მიდგომა	7
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	7
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	9
არაფინანსური აქტივები	9
შენობა-ნაგებობები	9
გარემოება №1	9
გარემოება №2	9
გარემოება №3	10
გარემოება №4	10
გარემოება №5	11
არაწარმოებული აქტივები	12
გარემოება №1	12
გარემოება №2	12
მატერიალური მარაგები	13
ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა	13
კაპიტალური ხარჯების აღრიცხვა	14
დებიტორული დავალიანება	15
ფინანსური ანგარიშგების უზუსტობები და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა	15
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	17
უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	18
მარნეულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში ..	18

აუდიტის ობიექტი	18
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	19
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	20
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	20
არაფინანსური აქტივები	20
არაწარმოებული აქტივები	20
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	21
მატერიალური მარაგები	21
ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა	22
ფინანსური ანგარიშგების უზუსტობები და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა	23
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	24
უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	25
მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	26
მარნეულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	35
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	45
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	45

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაიგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი

შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება.

2012 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 19467,4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 12004,3 ათასი ლარი (61,6%) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებული ტრანსფერია. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებული აქვს 7402,3 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 245,0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 4357,0 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 19853,5 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 10674,3 ათას ლარს (54%) შეადგენს ხარჯები, 9080,8 ათასი ლარი (45%) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 98,4 ათასი ლარი - ვალდებულებების კლებას.

2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- ქუჩების მოასფალტებისა და გარე განათების სამუშაოები;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს

მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ არაფინანსური აქტივების მოძრაობა(მიღება-გასვლა);
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;
- ✓ გრძელვადიან აქტივებს მიკუთვნებული სამუშაოებისთვის ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ დებიტორული დავალიანების აღრიცხვა.

მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდებოდა ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, 2012 წლის მდგომარეობით, მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია როგორც სარწმუნო.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

არაფინანსური აქტივები

შენობა-ნაგებობები

გარემოება №1. მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი აქტივები მოიცავს ქ. მარნეულის №2 სკოლის მიშენების, მოლაოდლისა და ალგეთის საჯარო სკოლების მშენებლობის ღირებულებას - 826,8 ათასი ლარი¹, რომლებიც მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო სახსრებით აშენდა 2008-2009 წლებში, ასევე 5 საჯარო სკოლაში² ჩატარებული კეთილმოწყობისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების ღირებულებას - 224,8 ათასი ლარი.

საჯარო სკოლები წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურდიულ პირებს. ამდენად, აღნიშნული ქონება - ღირებულებით 1 051,6 ათასი ლარი, არ უნდა ირიცხებოდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების სისწორეზე. კერძოდ, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 1 051,6 ათასი ლარით.

გარემოება №2. ბალანსში წარმოდგენილია შპს „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ შენობა - ნაგებობების ღირებულება - 999,0 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივი მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს შეტანილია შპს „მარნეულის ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის“ საწესდებო კაპიტალში³.

¹ საჯარო სკოლები: მარნეული - 87,2 ათასი ლარი; მოლაოდლი-375,0 ათასი ლარი; ალგეთი-364,6 ათასი ლარი.

²მარნეულის №5 საჯარო სკოლის დასვენების პარკი - 18,2 ათასი ლარი, ფანჯრების რეაბილიტაცია - 80,0 ათასი ლარი; შაუმიანის №2 სკოლის გათბობა-31,6 ათასი ლარი; წერეთლის სკოლის რეაბილიტაცია - 90,0 ათასი ლარი; შულავერის სკოლის მემორიალური დაფა - 5,0 ათასი ლარი

³დებულება, დამტკიცებული მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით №281, 08.05.2012.

გავლენა

- ქონება არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს, შესაბამისად, მისი ბალანსში ასახვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების მოცულობაზე, კერძოდ, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 999,0 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ - 999,0 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი „აქტივების უსასყიდლოდ გასვლის“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ შესაბამის მუხლში არ არის ასახული გადაცემული ქონების ღირებულება - 999,0 ათასი ლარი.

გარემოება №3. ორგანიზაციის ბალანსის აქტივების ნაწილში, კერძოდ, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხულია 2012 წლამდე პრივატიზებული შენობა-ნაგებობები⁴, ღირებულებით - 72,6 ათასი ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივებში“ ასახულია ისეთი აქტივები, რომლებიც არ არის მისი საკუთრება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივები არასწორადაა ნაჩვენები. კერძოდ, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია პრივატიზებული ობიექტების ღირებულებით.

გარემოება №4. მუნიციპალიტეტის ბალანსის აქტივების ნაწილში აღრიცხულია შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით - 3139,5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს 2007-2012 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ

⁴ ჰიდროელექტროსადგური -2,9 ათასი ლარი, სოფელ ყიზილაჯლოს კულტურის სახლი - 67,2 ათასი ლარი, საქვების შენობა ყიზილაჯლოში-2,5 ათასი ლარი.

მიტოვებულ ქონებას, მათ შორის, 2012 წელს გადაცემულ შენობას⁵, ღირებულებით - 249,2 ათასი ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგებაში ასახულია ისეთი აქტივები, რომელებიც არ არის მისი საკუთრება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია - 3139,5 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ - 249,2 ათასი ლარით არ არის წარმოდგენილი აქტივების უსასყიდლოდ გასვლის მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ შესაბამის მუხლში არ არის ასახული გადაცემული ქონების ღირებულება - 249,2 ათასი ლარი.

გარემოება №5. მუნიციპალიტეტის ბალანსის არაფინანსური აქტივებში აღრიცხულია 4657,5 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების აქტივი, რაზეც მარნეულის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა შეძენის ან სახელმწიფოდან გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული აღნიშნული ქონება რეალურად არ წარმოადგენს მის საკუთრებას.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების სისწორეზე. კერძოდ, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია შესაბამისი თანხით.

⁵ პოლიციის ყოფილი შენობა.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება №1. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ 2007- 2012 წლებში უსასყიდლოდ გადმოცემული 14 930,6 ათასი ლარის საერთო ნორმატიული ღირებულების 2310,2 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. მათ შორის, 2012 წელს უსასყიდლოდ გადმოცემული 426 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ნორმატიული ღირებულებით 11,1 ათასი ლარი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლში არ არის ასახული 14 930,6 ათასი ლარი.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ არ არის ასახული მიღებული აქტივების ღირებულება.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღებისა და გასვლის“ შესაბამის მუხლში არ არის ნაჩვენები უსასყიდლოდ მიღებული მიწის ღირებულება 11,1 ათასი ლარი.

გარემოება №2. 2012 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტმა აუდიტორულ ფირმა შპს „ლაზიკა აუდიტს“ დაუკვეთა 20000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეფასება, რომელიც უსასყიდლოდ გადმოსცა ფიზიკურმა პირმა, ვახტანგ ბარლიანმა. აუდიტის მიერ გაცემული დასკვნით⁶, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეფასდა 120,0 ათას ლარად. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლში არ არის ასახული 120,0 ათასი ლარი.

⁶ №02/21, 07.05.2012.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ არ არის ასახული მიღებული აქტივების ღირებულება.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღებისა და გასვლის“ შესაბამის მუხლში არ არის ნაჩვენები უსასყიდლოდ მიღებული მიწის ღირებულება - 120,0 ათასი ლარი.

მატერიალური მარაგები

მუნიციპალიტეტს 2012 წლის დასასრულისათვის საწვავის ბარათზე გააჩნდა ათასი ლარის ღირებულების 500 ლიტრი ბენზინის ნაშთი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში. აღნიშნული აქტივი არასწორადაა კლასიფიცირებული და მისი აღრიცხვა უნდა მომხდარიყო „ფულადი დოკუმენტებისა“ და „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლებით.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) ათასი ლარით გაზრდილია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი, ხოლო იგივე თანხა არ არის ასახული „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლში.
- აქტივის არასწორად კლასიფიცირების შედეგად, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ შესაბამისი თანხით არ არის წარმოდგენილი „ფულადი დოკუმენტების“ მუხლი.

ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა

მუნიციპალიტეტს 2012 წელს ძირითად აქტივებზე არ აქვს დარიცხული ცვეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №615 ბრძანებით

დამტკიცებული ინსტრუქციის⁷ შესაბამისად, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი აქტივების ღირებულება გაზრდილია დასარიცხი ცვეთის თანხით.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) გავლენას ახდენს არაფინანსური აქტივებისა და „წმინდა ღირებულების“ მუხლების სისწორეზე.
- აქტივებზე დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №3-სა და №5-ში წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.

კაპიტალური ხარჯების აღრიცხვა

2012 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტმა ი/მ „დავით გელბახიანთან“ გააფორმა ხელშეკრულება⁸ შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების შესრულებაზე. სულ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 11,2 ათასი ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალურ ხარჯად და წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში. ვინაიდან გზის მოხრეშვის სამუშაოებით შესაძლებელია მხოლოდ გზის საწყისი პოტენციალის შენარჩუნება, მაგრამ არ იზრდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადა, მასზე გაწეული დანახარჯები არ აკმაყოფილებს კაპიტალურ ხარჯად აღიარების კრიტერიუმს და წარმოადგენს მიმდინარე ხარჯს. ფინანსურ ანგარიშგებაში გაწეული დანახარჯი აღიარებული უნდა იყოს ხარჯად და წარმოდგენილი „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. აღნიშნული ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის

⁷ „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

⁸ ხელშეკრულება № 246.

აღრიცხული, რაც გავლენას ახდებს აქტივებისა და ასევე ხარჯების შესაბამისი მუხლების სისწორეზე.

გავლენა

- ოპერაციის არასწორად, აქტივად აღიარების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1 და ბალანსის დანართი №5) „არაფინანსური აქტივების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ ბალანსის დანართი ფორმა №2-ში „მიმდინარე ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 11,2 ათასი ლარით, ხოლო „კაპიტალური ხარჯების“ მუხლი გაზრდილია შესაბამისი თანხით.

დებიტორული დავალიანება

მუნიციპალიტეტს, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსზე ერიცხება 76,1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის დასაბუთებაც საფინანსო სამსახურმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა. სამსახურის მიერ გაცემული ცნობით, დავალიანება ფიქსირდება 2006 წლიდან. ამასთანავე დებიტორი, დავალიანების წარმოშობა და მიზნობრიობა გაურკვეველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულებები ბალანსში წარმოდგენილი დებიტორული დავალიანების ნაშთის - 76,1 ათასი ლარის სისწორესთან დაკავშირებით.

ფინანსური ანგარიშგების უზუსტობები და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების

მდგომარეობა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის ფორმა №1-ის შედგენისას არ არის დაცული საბალანსო ტოლობა, კერძოდ, აქტივი 4640,5 ათასი ლარით ნაკლებია პასივზე (ვალდებულებას +საკუთარი კაპიტალი).

- ბალანსის ფორმა №1-ში 277,9 ათასი ლარის „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ არასწორად არის წარმოდგენილი „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების“ მუხლში.
- ბალანსის ფორმა №1-ში პასივის მხარე ნაცვლად 38325,9 ათასი ლარისა, რომელიც შეადგენს ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამს, წარმოდგენილია მხოლოდ კაპიტალის (წმინდა ღირებულების) თანხით - 38048,0 ათასი ლარი (შემცირებულია 277,9 ათასი ლარით).
- ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის ფორმა №1-ში არსებული „წმინდა ღირებულების“ მუხლში წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის არსებული ნაშთები და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ წარმოდგენილი ნაშთები განსხვავებულია.
- არასწორად არის შევსებული ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, კერძოდ:
 1. ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ნაშთი წლის დასაწყისისათვის“ ნაჩვენებია საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა - 2201,2 ათასი ლარი, ნაცვლად ბალანსში წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ საწყისი ნაშთისა - 30041,6 ათასი ლარი.
 2. ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი (ფიზიკური ცვეთა) წარმოდგენილია 4 918,5 ათასი ლარით, მიუხედავად იმისა, რომ მოპოვებული მტკიცებულებით, მუნიციპალიტეტს 2012 წელს ცვეთის დარიცხვა არ განუხორციელებია.
- ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ბალანსის დანართი ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ შეუვსებელია, ხოლო ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ არასრულყოფილად არის ნაწარმოები. კერძოდ, შევსებული არ არის საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის

სატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერული ტექნიკისა და მობილური ტელეფონების რაოდენობის, ასევე მათზე გაწეული საკასო ხარჯების გრაფები.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა ბუღალტრული აღრიცხვისა არაფინანსური აქტივების მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად ხასიათდება სისტემური ხარვეზებით, კერძოდ:

✓ არაფინანსური აქტივების პირველადი აღრიცხვა არ არის ნაწარმოები „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივნისის №511 ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით. მუნიციპალიტეტი არაფინანსური აქტივების აღრიცხვას აწარმოებს კერძო აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნის⁹ დანართის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია აუდიტორის მიერ დადგენილ და შემდგომში შექმნილ ძირითად საშუალებათა საბალანსო და ნარჩენი ღირებულების შესახებ.

✓ ძირითად და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს არ აქვს მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომრები. კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, ხელშეკრულებები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე არ გაფორმებულა¹⁰.

✓ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2012 წელს მიღებულია გადაწყვეტილება ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ¹¹, თუმცა მუნიციპალიტეტმა ინვენტარიზაციის მასალები ვერ წარმოადგინა. ამასთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკრებულოს მიერ არ არის გათვალისწინებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის

⁹ №14, 30.03.2011.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 5, პუნქტი 20; მუხლი 18, პუნქტი 3-6.

¹¹ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №111, 22.02.2012.

ჩატარების წესის¹² მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა და სარეკომენდაციო ვადები.

✓ მუნიციპალიტეტის გამგეობას სააუდიტო პერიოდის საფინანსო დოკუმენტაცია, კერძოდ, მემორიალური ორდერები არ აქვს აკინძული და შენახული საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321¹³ ბრძანების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605, 30.07.2010.

¹³ 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

2013 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 17637,5 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 11737,6 ათასი ლარი (67%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერი 5897,9 ათასი ლარია, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 250,0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 5589,7 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 14240,7 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 8355,9 ათასი ლარი (59%) შეადგენს ხარჯებს, 5773,8 ათასი ლარი (40%) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 111,0 ათასი ლარი ვალდებულებების კლებას. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- გზის შეკეთების სამუშაოები;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები;
- ძირითადი საშუალებებისა და სატრასპორტო საშუალებების შეძენა.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი შიდა კონტროლის ხარვეზები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. კერძოდ, ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების (საცხოვრებელი შენობები; არასაცხოვრებელი შენობები; მანქანა-დანადგარები და ინვენტარი; სხვა ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები) და სხვა მუხლები.

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები 2013 წლის მდგომარეობით, მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

არაფინანსური აქტივები

არაწარმოებული აქტივები

მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების არაფინანსური აქტივების ნაწილში არ არის ასახული მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებული სახელმწიფოს მიერ 2013 წელს უსასყიდლოდ გადმოცემული 31,0 ათასი ლარის საერთო ნორმატიული ღირებულების, 1,2 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლში არ არის ასახული 31,0 ათასი ლარი.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არ არის ასახული მიღებული აქტივების ღირებულება.

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღებისა და გასვლის“ შესაბამის მუხლში არ არის ნაჩვენები უსასყიდლოდ მიღებული მიწის ღირებულება - 31,0 ათასი ლარი.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

2299,5 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტებიდან¹⁴ 2013 წელს მუნიციპალიტეტს შესრულებული და ანაზღაურებული აქვს 563,9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, რაზედაც გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული თანხის აქტივები, ნაცვლად „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლისა, არასწორად არის აღრიცხული „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) 563,9 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი და იმავე თანხით გაზრდილია „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, აღნიშნული თანხის „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“ ასახული არ არის.

მატერიალური მარაგები

მუნიციპალიტეტს 2013 წლის დასასრულისათვის საწვავის ბარათზე გააჩნდა 1,8 ათასი ლარის ღირებულების 960 ლიტრი დიზელის ნაშთი, რომელიც ასახულია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში. აღნიშნული აქტივი არასწორადაა კლასიფიცირებული და მისი აღრიცხვა უნდა მომხდარიყო „ფულადი დოკუმენტებისა“ და „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლებით.

¹⁴სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაცია, კორპუსების ეზოებისა და ქუჩების მოასფალტება. 2013 წლის ხელშეკრულებები: №№: 142; 348; 444; 479; 504; 506.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) 1,8 ათასი ლარით გაზრდილია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი და შესაბამისი თანხა არ არის ასახული „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლში.
- აქტივის არასწორად კლასიფიცირების შედეგად, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, შესაბამისი თანხით არ არის წარმოდგენილი „ფულადი დოკუმენტების“ მუხლი.

ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა

მუნიციპალიტეტს 2013 წელს ძირითად აქტივებზე არ აქვს დარიცხული ცვეთა ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №615 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის¹⁵ შესაბამისად, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი აქტივების ღირებულება გაზრდილია დასარიცხი ცვეთის თანხით.

გავლენა

- აღნიშნულ გარემოება ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) გავლენას ახდენს არაფინანსური აქტივებსა და „წმინდა ღირებულების“ მუხლების სისწორეზე.
- აქტივებზე დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №3-სა და №5-ში წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.

¹⁵ „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ფინანსური ანგარიშგების უზუსტობები და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის ფორმა №1-ის შედგენისას არ არის დაცული საბალანსო ტოლობა, კერძოდ, აქტივის მხარე 4852,6 ათასი ლარით ნაკლებია პასივზე (ვალდებულებას +საკუთარი კაპიტალი).
- ბალანსის ფორმა №1-ში 65,9 ათასი ლარის „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ არასწორად არის წარმოდგენილი „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების“ მუხლში.
